MES 3 23 0000773682

27/06/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13. 06. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:05 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი, I, II, III
სხდომია მდივანი: თამარსირაძე IV

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. ქე**თევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
10. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
11. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
12. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
15. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
16. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
3	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	II
4	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	II
5	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II
6	გიორგი ჯაფარიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	II
7	გივი სანაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მექანიკის ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ვაჟა ქირია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მექანიკის ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	მანანა ცერცვაძე			III

		შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	არისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
10	*ნინო ჯაფარიძე*	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
11	ხათუნა ტვილდიანი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	III
12	თამარ სოზიაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	III
13	ზურაბ ცეცხლაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	III
14	თორნიკე ხოშტარია	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - **ასოცი რებული** პროფესორი	III
15	კლიმენტი ადამია	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	შიდა აუდიტი	III
16	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	IV
17	გიორგი მირიანაშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე სტუდენტის მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში	IV
18	ზაზა ბერიშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	დიპლომირებული მედიკოსისი ერთსაფეხურიანი პროგრამის ხელმძღვანელი.	IV
19	ნინო გორდელაძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი		საკითხი

		ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	
1	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ელენე გიგინეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობა მე - 4 საკითხის განხილვის დროს შეასრულა თამარ სირაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;
2) შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3) შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი იყო ცენტრის წარმომადგენელი, მან საბჭოსთან იშუამდგომლა რომ პირველ საკითხად განეხილათ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა,,სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2017 წლის 05 იანვრის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა,,სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2017 წლის 05 იანვრის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა)"
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2017 წლის 05 იანვრის N02
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	კვალიფიკაციის კოდი	02
11	სწავლების ენა	ინგლისური

12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმი, მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა). აღნიშნული პროგრამა მოიცავს 2 დამოუკიდებელ მიმართულებას, მენეჯმენტსა და ტურიზმს. თითოეული ამ მიმართულებისთვის პროგრამაში განსაზღვრული იყო შესაბამისი სწავლის შედეგები, სტრუქტურა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ტურიზმის მიმართულებაზე სტუდენტთა ინტერესის არარსებობის გამო (მიმართულებაზე არ ირიცხებიან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები) და ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, აღნიშნული მიმართულება გადავიდა მილევად რეჟიმში, ხოლო 2023 წლის გაზაფხულის სემესტრიდან უნივერსიტეტმა მიიღო მისი გაუქმების გადაწყვეტილება. ტურიზმის მიმართულების გაუქმებამ გამოიწვია შემდეგი სახის ცვლილებები: პროგრამიდან მოხდა ტურიზმის მიმართულებისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების, სასწავლო კურსებისა და კვალიფიკაციის ამოღება, მენეჯმენტის მიმართულებისთვის განსაზღვრული სასწავლო კურსები, სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი დარჩა უცვლელი. შესაბამისად, ცვლილება შეეხო პროგრამის სახელწოდებასაც, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა). აღნიშნული პროგრამა ამ ფორმით მზადდება დაგეგმილი კლასტერული აკრედიტაციისათვის.

უნივერსიტეტმა დააყენა შუამდგომლობა, გაუქმებულად ჩაითავალოს , გაუქმებულად ჩაითვალოს „ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმი, მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა) პროგრამის ტურიზმის მიმართულება და დარჩეს მხოლოდ მენეჯმენტი, პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა)“, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ექნება 2024 წლამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს კითხვით, რამდენად იყო საბჭო უფლებამოსილი დაეკმაყოფილებინა დაწესებულების შუამდგომლობა.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფა და დაშლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ეს ხდებს სწავლის სფეროების და ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დღევანდელი კვალიფიკაციების ჩარჩო ტურიზმსა და მენეჯმენტს სხვადასხვა დეტალურ სფეროში ითვალისწინებს.

აკრედიტაციის საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამაში ტურიზმი და მენეჯმენტი კონცენტრაციების სახით იყო თუ არა ჩამოყალიბებული?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რომ ტურიზმი და მენეჯმენტი პროგრამაში მიმართულებების სახით იყო ჩამოყალიბებული, რადგან სხვადასხვა კვალიფიკაციების გაცემა იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება სტრუქტურას ცალკე იყო მენეჯმენტისთვის და ცალკე ტურიზმისთვის.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, პროგრამის სწავლის შედეგებში არის თუ არა გათვალისწინებული ტურიზმის სწავლის შედეგები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ცალცალკე იყო გათვალისწინებული, როგორც ტურიზმისთვის, ისე მენეჯმენტისთვის.
საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, იმასთან დაკავშირებით, თუ თუ რა იქნებოდა პროგრამის საბოლოო სახელწოდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება იქნება „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა)“,

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

საბჭომ სრულად დაუჭირა მხარი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას და

გადაწყვიტა
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 07 ივნისის N35/3965 (ცენტრში რეგისტრაციის N653775) კორესპონდენციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებების განხილვისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 05 იანვრის N02 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

მეორე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;

„მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებ ლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №76. 01.10.2018 წ
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას №68, ქ. თბილისი კორპ. I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას №68, ქ. თბილისი კორპ. I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიციის ვიზიტი განხორციელდა 20 და 21 მარტს. შეფასების შედეგად ორივე პროგრამის პირველი და მე-5 სტანდარტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საინჟინრო და მექანიკის და ინჟინერიის პროგრამები ძალიან რთული სფეროა, რომელიც საჭიროებს სკოლიდან კარგ საბაზო განათლებას, ასევე უნივერსიტეტში ძვირადღირებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები ინგლისურენოვან პროგრამაზე დაკმაყოფილებულია. პროგრამის განმახორციელებლები არიან ძალიან მოტივირებულები. პროგრამაზე სტუდენტები ძირითადად არიან აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ეს დასკვნაში საუკეთესო პრაქტიკად არის მითითებული, დაწესებულებას გააჩნია ძვირადღირებული და თანამედროვე აღჭურვილობა. თუმცა მათ მაინც დაწერეს რეკომენდაცია, რომელიც ეხება პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინების შიდა გრანტების, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსების და სხვა ხარჯების ასახვას.
ექსპერტმა ჩამოთვალა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები **„მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:**

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის მე-9 შედეგზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით: გაცნობა - 1, გაღრმავება -2, განმტკიცება - 3.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოყენებული იქნას ინგლისურენოვან ლიტერატურაში მოცემული ტერმინოლოგია;
- რეკომენდებულია, დამუშავდეს სასწავლო კურსის „მასალათა გამძლეობა“ სილაბუსი: დაშვების წინაპირობად განისაზღვროს თეორიული მექანიკა 1, კურსის სწავლის შედეგებში აისახოს: შეძლებს მასალის მექანიკური მახასითებლების განსაზღვრას, გათვალისწინებული იქნას პრაქტიკული მეცადინეობები და საკონტაქტო საათები განისაზღვროს შემდეგნაირად: ლექცია -15 სთ., პრაქტიკული-15 სთ., ლაბორატორიული სამუშაო-15 სთ;

,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლელო პროგრამასთან მიმართებით გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები: ,

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის პირველ და მეცხრე შედეგებზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს ლექციების თემები სასწავლო კურსში „რხევების გამოყენებითი თეორია და ვიბრაციული მანქანები“
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საკურსო პროექტის პრეზენტაცია, შეფასების შესაბამისი რუბრიკით;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების დინამიკა“ თემატურად დაჯგუფდეს ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განსახილავი საკითხები;
- რეკომენდებულია, კურსებში თემატიკის გადაფარვების გამოსარიცხად დაიგეგმოს სასწავლო კურსების ავტორების შეხვედრები
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ მათში გამოიკვეთოს „კვლევის მიზანი და ამოცანები“, „დასაბუთება“ და „კითხვა-პასუხი“;
- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნულთან დაკავშირებული საკითხი;
- რეკომენდებულია, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები დადებითი შეფასების გამოანგარიშების თაობაზე ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს;

ასევე ორივე პროგრამასთან მიმართებით გაიცა კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კონკრეტულად და ნათლად აისახოს ხარჯები პროგრამ(ებ)ის ისეთი საჭიროებებისთვის, როგორიცაა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, შიდა გრანტები, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსება და სხვ
- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“ გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც ეს წესი გავრცელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე.

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების გადაფარვების აღმოფხვრის, შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების სათანადოდ განსაზღვრისა და სხვა მიმართულებით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზგადობას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ მათ არგუმენტირებულ პასუხში დააფიქსირეს, რომ რეკომენდაციების უმრავლესობას დაწესებულება იზიარებს. მისი თქმით, არცერთი რეკომენდაციიის შესრულებას არ სჭირდება 1 წელზე მეტი დრო. მაგისტრატურის პროგრამის სამეცნიერო კვლევით კომპონენტის შეფასების წესთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ეს წესი უნივერსალურად მუშობს უნივერსიტეტში. მან ყურადღება გაამახვილა ასევე 5 - ე რეკომენდაციაზე, სადაც საუბარია მსგავსების კოეფიციენტის გადახედვაზე სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებით, მისი თქმით, აქ საუბარია არა პლაგიატის, არამედ სიტყვათა მსგავსების კოეფიციენტის საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებამ სხვა პროგრამებზეც მიიღო რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ისინი დაუკავშირდნენ თვითონ ამ პროგრამების ადმინისტრაციას და მათგან მიიღეს ოფიციალური ინსტრუქციები და მინიმუმამდე დაწიეს როგორც 5 სიტყვიან კომბნანციებში, ასევე 25 სიტყვიან კომბინაციაში მსგავსების კოეფიციენტები. რაც შეეხება მე-5 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს, როგორც მან აღნიშნა, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს, რომ გარკვეული ხარვეზები ხარისხის კუთხით აქვთ და ყველა რეკომენდაციას შეასრულებენ მოკლე დროში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალი იყო თუ ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა. ასევე მან აღნიშნა რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, რომელიც მისი თქმით საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა უშუალოდ დაწესებულების მხრიდან განხრციელებული ბაზრის კვლევა ვერ ნახა. ის დაინტერესდა რა ცოდნას და კომპეტენციას მოითხოვს შრომის ბაზარი, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადდეს სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ასევე პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, მან ნახა მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, სადაც 50 სტუდენტის პრაქტიკის გატარების პირობა არის მოცემული. მისი თქმით, ამ მიმართულებით საქართველოში არის ძალიან დიდი მოთხოვნა, ჩამოთვლილია ძალიან ბევრი საწარმოებები და რატომ არ დებს დაწესებულება ხელშეკრულებას აღნიშნულ საწარმოებებთან.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ დაადასტურა დაწესებულებამ პროგრამის განმახორციელებლების ენის კომპეტენცია, მისი თქმით, CV-ებში არ იკვეთება ის თუ რა დონეზე იციან მათ ინგლისური.
ასევე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გეგმა აქვს დაწესებულებას სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით.

ექსპერტმა კითხვას შრომის ბაზართან დაკავშირებით უპასუხა და აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან რომ თვითონაც არის მექანიკის ინჟინერიის პროგრამის ხელმძღვანელი სხვა უნივერსიტეტში, მისთვის ცნობილია ეს დარგი და იცის ამ დარგში არსებული მოცემულობა დასაქმების კუთხით. თუმცა დასკვნაში მათ მაინც დაწერეს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დამსაქმებლების მონაწილეობის გაზრდის შესახებ რეკომენდაცია.
პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ვიზიტის დროს ნახეს ძალიან ბევრი საწარმო, რომელიც თვითონ ტექნიკურ უნვერსიტეტს გააჩნია, სადაც შესაძლებელია რამდენიმე ათეული და ასეული სტუდენტის მიღება და პრაქტიკის გატარება, შესაბამისად ამ კუთხითაც პრობლემა მათ არ დაუნახავთ. ასევე, მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტები ძალიან თანამედროვე მანქანებითაა აღჭურვილი, რაც ნამდვილად აღსანიშნავია და დასკვნაში მათ ეს საუკეთესო პრაქტიკაში მიუთითეს.
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინგლისური ენის ფლობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ, ვიზიტის დროს აკადემიური პერსონალის თქმით, ისინი

პერმანენტულად გადიან ინგლისურ ენაში მომზადების კურსებს, ამიტომ გაჩნდა კითხვა, როგორ ახორციელებდნენ ისინი ინგლისურად სწავლებას. რეკომენდაცია რომელიც ეხება ტერმინოლოგიას, სადაც უზუტობები იყო, სწორედ ენის კომპეტენციის პრობლემამ გააჩინა. მისი თქმით მათ სხვა საშუალება არ ჰქონდათ პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის დადგენის.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში მიმდინარეობდა, მაგრამ მასზე მოთხოვნის ზრდასთას ერთად უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროგრამა მოემზადებინათ აკრედიტაციისთვის, რისთვისაც ჩაატარეს ყველა ის სამუშაოები, რომელსაც ითვალისწინებდა სააკრედიტაციო მოთხოვნები. რაც შეეხება უცხო ენას, მის თქმით, მათ უნივერსიტეტში დამკვიდრებული აქვთ შემდეგი პრაქტიკა : ხდება საცდელი ლექციის ჩატარება, იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც დარგის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. კომიისის საშუალებით ხდება დადგენა, შეუძლია თუ არა კანდიდატს კონკრეტულ კურსზე წაიკითხოს ლექციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ გარდა ამისა კიდევ რამდენიმე მექანიზმით ადასტურებენ ენის კომპეტენციას, ნაკლებად იყენებენ, მაგრამ შეუძლიათ ასევე ტესტირების ჩატარება, ასევე მათ შეუძლიათ მოითხოვონ აღიარებული საერთაშორისო სერთიფიკატი. ასევე თუ კი კანდიდატს სამუშაო გამოცდილებაში უწერია ინგლისურენოვანი სწავლების გამოცდილება, ეს უკანასკნელიც მისაღებია მათთვის.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დამსაქმებლებთან აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა და მათი სურვილები პროგრამაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მექანიკის ინჟინერიის მიმართულება არის ძალიან ძველი, როდესაც დაარსდა ტექნიკური უნივერსიტი მექანიკის ინჟინერიაც იმ დროიდან ფუნქციონირებს. მათი მატერიალურ ტექნიკური ბაზა მოწყობილია უმაღლეს დონეზე, მათ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია თანამედროვე ლიტერატურა. ასევე, მათ ჰყავთ ისეთი პროფესორ - მასწავლებლები, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი კვალიფიკაცია, მათ შორის ბევრ მათგანს უცხო ქვეყანაში აქვს განათლება მიღებული. რაც შეეხება კონტიგენტს, მისი თქმი ყველა სტუდენტი ვინც სწავლობს პროგრამაზე, არიან უცხოელები. ისინი პანდემიის დროს არიან მოსულები და მის თქმით ეს პანდემიის კვალობაზე კარგი რაოდენობაა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მექანიკის ინჟინერია ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მისი თქმით, მათ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ დამსაქმებლებთან, ისინი სისტემატიურად არიან ჩართულები სილაბუსების მომზადების პროცესში. ასევე, მათი სტუდენტები რეალურად ახორციელებენ პრაქტიკას წარმატებულ კომპანიებში. ის ფიქრობს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ყველა ის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა, წიგნების ფონდი და ა.შ. რაც საჭიროა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ მათ შესწავლილი აქვთ შრომის ბაზრის მდგომარეობა როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე საქართველოში და ორივე მიმართულებით არის ეს წარმოდგენილი დოკუმენტაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს იყო ზოგადი ანალიზი და ეკონმიკური შეფასება ბაზრის კვლვებით. პრგრამის შექმნისთვის და შემუშავებისთვის კი განსხვავებული ბაზრის კვლევაა საჭირო.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა სბაკალავრო საფეხურის პროგრამასთან მიმრთებით, კერძოდ 1.5 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაციის დაზუსტება, რომელიც ეხება „მასალათა გამძლეობის“ სასწავლო კურსს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია სასწავლო კურსში იყოს გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობები, კერძოდ, სიმტკიცეზე და სიხისტეზე დაანგარიშების ამოცანები. თუ სტუდენტი არ ფლობს და ვერ აკეთებს ამოცანებს, მაშინ

შედეგებზეც ვერ გავა. ამ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის თემა არის პრაქტიკული მეცადინეობები. სილაბუსში ჩადებული იყო 30 საათი ლექცია, 15 საათი ლაბორატორიული სამუშაო ხოლო პრაქტიკული სამუშაოები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ამ კურსის სწალის შედეგები მოითხოვს ასეთი პრაქტიკული მეცადინეობების გათვალისწინებას. ეს არის ტრადიცილი კურსი, რომელშიც ფაქტობრივად ყველა უმაღლეს სასწავლებელში პრაქტიკული მეცადინეობებია გათვალისწინებული. პროფესორის აკადემიური თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ თავისი მოსაზრებებიდან გამომდინარე შეცვალოს კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტს: 16 ან 14 საათი რომ იყოს განსაზღვრული სასწავლო კურსში სწავლის შედეგებზე გასვლა ვერ იქნება უზრუნველყოფილი? რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ აქ გასათვალისწინებელია ლაბორატორიული სამუშაოების რაოდენობა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ბაზაში. მექანიკური მახასითებლები არის საფუძველი მექანიკის ინჟინერიის. მიღებულია რომ 15 კვირიან სასწავლო სემესტრზე გადანაწილებულ იყოს მსგავსი პროპორციით 15 საათი ლექცია, 15 საათი პრაქტიკული და 15 საათი ლაბორატორიული სამუშაოები იმ ბაზის გათვალისწინებით, რაც რელაურად არსებობს უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა კითხვა დასვა ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა, ყველა მოთხოვნა, რაც აუცილებელია კომპეტენციების დასადასტურებლად არის თუ არა რაიმე ოფიციალურ დოკუმენტში გაწერილი?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მსგავსი რეგულაცია ჯერ დამტკიცებული არ აქვთ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, დაწესებულება როგორ ადასტურებს პედაგოგის აყვანისას მისი ინგლისური ენის კომპეტენციას, სერთიფიკატი მოაქვთ B2 დონის თუ რა სტანდარტით არჩევენ? როდესაც მან გადახედა პერსონალის პირად საქმეს, ენის დამადასტურებელი დოკუმენტი არცერთს არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალის პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართვისთვის აუცილებელია რომ ის აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რაზეც უკვე ადრე ისაუბრა. საკონკურსო პირობებში ცალსახად ჩამოწერილია ეს მოთხოვნები თავიდან ბოლომდე.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილია მაგისტრატურის დებულება, სადაც შემდეგი ჩანაწერი იკითხება ''პლაგიატის არსებობა არის მაგისტრანტზე ან/და მის ხელმძღვანელზე დისციპლინური ზემოქმედების საფუძველი'' ის დაინტერესდა რა შემთხვევაში გამოიყენება ''ან'' და რა შემთხვევაში გამიყენება ''და''.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, როდის გეგმავს დაწესებულება, რომ მსგავსების პროცენტი შეამციროს ნულამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსების 0% - მდე დაყვანა შეუძლებელია არა მარტო მათ უნივერსიტეტში, არამედ მთლიანად საქართველოს მაშტაბით. ისინი არ უშვებენ პლაგიატის პროცენტულობას, ისინი უშვებენ სიტყვების თანხვედრის 5%, მაგისტრატურის შემთხვევაში ეს არის 35%. დოქტორანტურის და სხვა აკადემიური პერსონალის შემთხვევაში 25% .

ექსპერტმა თქვა, რომ მათ ვიზიტის დროს შეამჩნიეს ინგლისურენოვანი პროგრამის არსებობის ძალიან კარგი გავლენა როგორც ინსტიტუციაზე, ასევე განმახორცილებელ პერსონლაზე. დადებით გავლენას იმიტომ ახსენებს, რომ ის პროფესორ მასწავლებლები, რომელბიც პროგრამაში კითხულობენ ლექციებს, იყენებენ თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურას ასევე იუმჯობესებენ ცოდნას ინგლისურ ენაში.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ვიზიტის დროს თუ დაინტერესდნენ ქართულეოვან პროგრამაზე სტუდენტების მოზიდვის მექანიზმზე.

ექსპერტმა თქვა, რომ მათ ეს საკითი დასკვნაშიც აქვთ აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტები ამას არ მოითხოვს. რეკომენდაციაში უწერიათ, რომ ინსტიტუციამ ჩაატაროს გარკვეული ღონისძიებები აბიტურინეტების მოზიდვისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაგისტრატურის დებულების ჩანაწერთან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ჩანაწერში ხელმძღვანლის მოხსენიება მოხდა მას შემდეგ, რაც რეკომნდაციები მიიღეს საკმაოდ ბევრ პროგრამაზე, რომ მაქსიმალურად გაძლიერებულიყო სამაგისტრო ნაშრომების შინაარსი, შესრულება და ხარისხი ყველა კუთხით. აკადემიურმა საბჭომ მათ შორის ხარისხის სამსახურის რეკომენდაციით ამ კუთხით ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც ჩაწერეს დებულებაში. ხოლო, რა შემთხვევაში იქნება სამეცნიერო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა ამაზე არ უფიქრიათ, მისი თქმით ეს ალბათ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან შეფასდება. აქვე დაამატა რომ ჯერ არ ყოფლა შემთხვევა რომ სამეცნიერო ხელმძღვანელზე ყოფილიყო გადასული ეს პასუხისმგებლობები, ვინაიდან ცვლილებების შეტანის შემდეგ ასევე ხარისხის სამსახურმა და სხვა სტრუქტურებმა არაერთი შეხვედრა გამართეს პროფესორებთან და განიხილეს რა გამოწვევებს წააწყდნენ ამ მიმართულებით აკრედიტაციის პროცესში.
სტუდენტების მოზიდვასთან დაკავშირებულ კითხვაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი აგენტებს არ იყენებენ ქართულ კონტიგენტთან მიმართებაში, რადგან ამ მიმართულებით ძალიან გააქტიურებულია მათი მარკეტინგის დეპარტამენტი. ასევე ფაკულტეტი ატარებს არაერთ მიზნობრივ შეხვედრებს დამამთავრებელი კურსის მოსწავლეებთან და ასევე მიმართავენ ღია კარის დღეებსაც და ამ ფორმით ცდილობენ მათ ინფორმირებას.
დაწესეულების წარმომადგენლის თქმით, ისინი მექანიკის ინჟინერიის ქართულენოვან პროგრამაზე ყოველწლიურად 30 ადგილს აცხადებენ და ოცდაათივე ივსება. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სკოლებთან, აბიტურიენტებთან ადგილზე ატარებენ შეხვედრებს აქვთ ღია კარიის დღეები, მოჰყვათ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, მათ ადგილზე ათვალიერებინებენ ლაბორატორიულ ბაზებს, აცნობენ იმ მიმართულებებს სადაც დასაქმდებიან და ა.შ. ბაკალავრიატის მაღალკურსელები თითქმის 62% არის დასაქმებული.
საბჭოს წევრი დაინტერესდა განსახილველ პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბაკალავრიატზე ჰყავთ 144 სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურაზე 7 სტუდენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:09 სთ
დასრულების დრო: 15:21 სთ
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - (31/12/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - (31/12/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის მე-9 შედეგზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით: გაცნობა - 1, გაღრმავება -2, განმტკიცება - 3.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოყენებული იქნას ინგლისურენოვან ლიტერატურაში მოცემული ტერმინოლოგია;
- რეკომენდებულია, დამუშავდეს სასწავლო კურსის „მასალათა გამძლეობა“ სილაბუსი: დაშვების წინაპირობად განისაზღვროს თეორიული მექანიკა 1, კურსის სწავლის შედეგებში აისახოს: შეძლებს მასალის მექანიკური მახასითებლების განსაზღვრას, გათვალისწინებული იქნას პრაქტიკული მეცადინეობები და საკონტაქტო საათები განისაზღვროს შემდეგნაირად: ლექცია -15 სთ., პრაქტიკული-15 სთ., ლაბორატორიული სამუშაო-15 სთ;
- რეკომენდებულია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კონკრეტულად და ნათლად აისახოს ხარჯები პროგრამ(ებ)ის ისეთი საჭიროებებისთვის, როგორიცაა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, შიდა გრანტები, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსება და სხვა.
- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“ გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც ეს წესი გავრცელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების გადაფარვების აღმოფხვრის, შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების სათანადოდ განსაზღვრისა და სხვა მიმართულებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე, სხვა კომპონენტები შემუშავდეს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით.
- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის ანალიზის ჩატარება პროგრამის სწავლის შედეგების და მიზნების ჭრილში.

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის მუდმივი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ხშირი ხასიათი ჰქონდეს დამსაქმებლებთან კომუნიკაციათანამშრომლობას;

- სასურველია, დაიგეგმოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრის ღონისძიებები მუდმივი განვითარების მიზნით; ასევე, ვალიდურობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილეთა რაოდენობა;
- სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და გარე შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ მონაცემები აისახოს თვითშეფასების დოკუმენტში;
- სასურველია, ანალოგ პროგრამებთან დადარების უფრო დეტალური ანალიზი იყოს წარმოდგენილი, რითაც დადგინდება როგორც პროგრამებს შორის მსგავსება, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განსაკუთრებულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - (31/12/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ,,მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასმიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - (31/12/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის ანალიზის ჩატარება პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების ჭრილში;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის პირველ და მეცხრე შედეგებზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით;
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს ლექციების თემები სასწავლო კურსში „რხევების გამოყენებითი თეორია და ვიბრაციული მანქანები“
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საკურსო პროექტის პრეზენტაცია, შეფასების შესაბამისი რუბრიკით;

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების დინამიკა“ თემატურად დაჯგუფდეს ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განსახილავი საკითხები; • რეკომენდებულია, კურსებში თემატიკის გადაფარვების გამოსარიცხად დაიგეგმოს სასწავლო კურსების ავტორების შეხვედრები;
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ მათში გამოიკვეთოს „კვლევის მიზანი და ამოცანები“, „დასაბუთება“ და „კითხვა-პასუხი“;
- რეკომენდებულია, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები დადებითი შეფასების გამოანგარიშების თაობაზე ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების გადაფარვების აღმოფხვრის, შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების სათანადოდ განსაზღვრისა და სხვა მიმართულებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე, სხვა კომპონენტები შემუშავდეს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით;
- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“ გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც ეს წესი გავრცელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე;
- რეკომენდებულია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კონკრეტულად და ნათლად აისახოს ხარჯები პროგრამ(ებ)ის ისეთი საჭიროებებისთვის, როგორიცაა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, შიდა გრანტები, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსება და სხვ.

რჩევები:

- სასურველია გაიზარდოს შიდა საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსება
- სასურველია, პროგრამის მუდმივი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ხშირი ხასიათი ჰქონდეს დამსაქმებლებთან კომუნიკაციათანამშრომლობას;
- სასურველია, დაიგეგმოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრის ღონისძიებები მუდმივი განვითარების მიზნით; ასევე, ვალიდურობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილეთა რაოდენობა;
- სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და გარე შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ მონაცემები აისახოს თვითშეფასების დოკუმენტში;
- სასურველია, ანალოგ პროგრამებთან დადარების უფრო დეტალური ანალიზი იყოს წარმოდგენილი, რითაც დადგინდება როგორც პროგრამებს შორის მსგავსება, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განსაკუთრებულობა.

მესამე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა:

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 10 დეკემბრის №234 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე - 2 ის ქუჩა N4, N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

~

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს 2019 წელს მიენიჭა შვიდწლიანი აკრედიტაცია, მონიტორინგით. ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა, შედგა

შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან. მათ ვიზიტის დროს გადაამოწმეს რეკომენდაციების შესრულების საკითხი. დაწესებულების მიერ 2019 წლის ვიზიტისას გაცემული გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა, ხოლო ნაწილი განხორციელების პროცესშია.
დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა შემდეგი რეკომენდაციები: ლიტერატურის განახლება, სილაბუსებში უზუსტობების შესწორება. დაწესებულებას აქვს თავისი სტომატოლოგიური კლინიკა, წინა ვიზიტზე ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ რეკომენდაცია სტელირიზაციის მიმართულბით, მათ ეს საკითხი შეამოწმეს და რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებას ასევე შემუშავებლი აქვს პრაქტიკული მანიპულაციების შეფასების დღიურები, ასევე არის განხორციელებული გარკვეული აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მიუხედავად ამისა ექსპერტებმა ჩათვალეს რომ გარკვეული რეკომენდაციები უნდა დაეტოვებინათ:

- განხორციელდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო სტომატოლოგიურ შეჯიბრებებში;
- განხორციელდეს საერთაშორისო სტომატოლოგიურ ასოციაციებთან თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- კლინიკურ დარგობრივ სილაბუსებში, დაკონკრეტდეს პაციენტზე და ფანტომზე შესასრულებელი მანიპულაციები;
- გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების მქონე დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა;
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
- განახლდეს სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორატორია, აღიჭურვოს თანამედროვე სტომატოლოგიური სიმულაციური დანადგარებითა და მასალებით
- პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას გაცვლითი პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როდესაც მათ მიიღეს არგუმენტირებული პოზიცია მათ ასევე მიიღეს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტებიც. ვიზიტის დროს მათ შეაფასეს სივრცე და იფიქრეს რომ ეს სკმარისი არ იყო პრაქტიკის განხორცილებისათვის, დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 46 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, თუმცა სექტემბრიდან ისინი გეგმავენ მეტი რაოდენობის სტუდენტის მიღებას, მათ ნახეს სივრცე სადაც სამომავლოდ რეზიდენტებისთვის იგეგმებოდა სამუშაო, თუმცა იმ ეტაპზე დასრულებული არ იყო. ხოლო არგუმენტირებული პასუხის შემდეგ მათ გამოგზავნეს დასრულებული ინსფრაქტრუქტურის ფოტოები. დაწესებულებამ ასევე აქტიურად იმუშავა სილაბუსებში და განახორციელა ცვილილებები, თუმცა ვინაიდან ეს არ იყო განხორციელებული უშუალოდ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მხედველობაში ვერ მიიღეს არგუმენტირებულზე თანდართული დოკუმენტები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ტექნიკურ უზუსტობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალის რაოდენობას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ციფრების სხვაობა იყო მხოლოდ ერთი. შესაბამისად ეს რეკომედაცია არ მოხსნეს. მისი თქმით, აკადმიური პოზიციის ნამატთან დაკავშირებით სხვაობა იძლეოდა 2 - ს. რეკომენდაცია რაოდენობასთან დაკავშირებით დატოვეს იგივე, ვინაიდან დარგის მიმართულებით 11 პირი არის აკადემიურ პოზიციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა რომ წინა აკრედიტაციის დროს გაიცა 7 რეკომენდაცია, ექსპერტებმა შესრლებულად ჩათვალეს 5 რეკომენდაცია, ხოლო ორი რეკომენდაცია რომელიც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხებს ჩაუთვალეს მეტწილად შესრულებულად. დაწესებულება თვლის რომ ეს ორი რეკომენდაციაც უნივერსიტეტს აქვს შესრულებული სრულად, ვინაიდან აკრედიტაციის მესამე სტანდარტის 3.1 ქვესტანდარტის შესაბამისად უნივერსიტემა ბევრი იმუშავა ამ მიმართულებით და გააღრმავა შესაძლებლობები, რასაც ექსპერტებიც ადასტურებენ. ის რომ სტუდენტებს აქვთ შესალებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში დასტურდება გაფორმებული მემორანდუმებით, ხელმოწერებით, ხელშეკრულებებით და გამოცხადებული სხვადასხვა კონკურსებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტების აქტიურობა რამდენად ფიქსირდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ დღესაც მიიღეს სტუდენტებისგან დასტური რეგისტრაციის ლინკებზე დარეგისტრირების. გარდა ამისა მიიღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება ერასმუს პლიუსიდან და კონკურსი აქვთ გამოცხადებული, რომ შემდეგი სემესტრიდან სტუდენტები ჩაერთონ ამ პროგამაში. ეს არის მოქმედი ხელშკრულებები, აქედან გამომდინარე ისინი თვლიან რომ ეს რეკომენდაცია ზედმიწევნით შეასრულეს.
საბჭოს წევრმა დამაზსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, სტუდენტებს უსარგებლიათ თუ არა მემორანდუმებით, თუ მხოლოდ ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეგისტრაციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიღებები გამოაცხდეს მაშინ, როდესაც მთავრდებოდა პანდემია. ამ პროცეში მონაწილეობა მიიღეს სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა და გამარჯვეს, თუმცა შემდგომ ოჯახებიდან წამოვიდა წინააღმდეგობა(პანდეემის გამო) და არ წავიდენ.
დაწესებულების წარმომადგეელმა მე - 2 რეკმენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთვის ეს რეკომენდაცია ცოტა გაუგებარი იყო, რადგან ეს აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნა არ არის, თუმცა მათ ეს რეკომენდაცია მაინც შეასრულეს. როგორც მან აღნიშნა - მე - 7 რეკომენდაცია გაიწერა უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტის დროს. ხოლო წინა აკრედიტაციის დროს გაცემული 5 რეკომენდაციიდან 4 უკვე მათ შესრულებული აქვთ, მტკიცებულებები კი არგუმენტირებულ პოზისიაზე აქვთ თანდართული.
რაც შეეხება როკომენდაციას პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ორით ნაკლები იყო დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა. რეალურად კი ეს ასე არ არის. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტი ყოველთვის ითვალისწინებს საბჭოს და ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და თვლის, რომ ეს სასარგებლოა უნივერსიტეტის განვითარებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მე - 3 რეკომენდაციასთან დაკავშრებთ, რომელიც გულისხმობს კლინიკურ დარგობრივ სილაბუსებში პაციენტზე და ფანტომზე შესასრულებელი მანიპულაციების დაკონკრეტებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტი სწორედ ამაზე საუბრობდა რომ მათ უკვე წარადგინეს ჩასწორებული სილაბუსები, ორივე სილაბუსში ჩასწორებულია ის შენიშვნები რაც ექსპერტებს ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მე - 2 რეკომენდაციას უფრო რჩევის სახე ხომ არ უნდა ჰქონოდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, სტუდეტებს ჰქონდათ თუ არა შესასძლებლობა რეალურ პაციენტებზე ჩაატარონ გარვეული სამუშაოები.

ექსპერტმა თქვა, რომ გასული ვიზიტისას ექპსტერების მიერ იქნა გაცემული რეკომენდაცია, სტუდენტებისთვის პაცინტების მიღება ყოფილიყო სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი. ასევე პროგრმას შეეცვალა ხელმძღვანელი და ავტორიზაციის რეჟიმში ბევრჯერ მოუწიათ ვიზიტი. წინა ექსპერტების მიერ რეკომენდაცია იყო გაცემული პრაქტიკული დღიურების არასრესბობასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ შეიმუშავა ვიზიტის დღეს კი გამოითხოვეს აღნიშნული დღიურები, რომლებიც იყო შევსებული. სტუდენტების ინტერვიურების დროსაც დადასტურდა, რომ ისინი პაციენტებს ნამდვილად იღებდნენ. ასევე გამოლინდა, რომ მას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი.უნივერსიტეტმა გარკვეული სოცილაური აქტივობის ფარგლებში მიიღო უფასო პაციენტები, რასაც არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. ექსპერტებმა დღიურებსაც რომ გადახედეს, ნახეს, რომ ძირითადი მანიპულაციები შესრულებული იყო ლაბორატორიულ და ექსტრაგირებულ კბილებზე. ექსპერტის თქმით, გაცემული რეკოენდაციების შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო დოკუმეტი, სადაც დაწესებულებამ დააკონკრეტა თუ რომელი მანიპულაცია გაკეთდებოდა პირის ღრუში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მისიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტერნაციონალიზაციას, დაწესებულებას ნამდვილად აქვს მემორანდუმები გაფორმებული, თუმცა სტუდენტებს ამით ჯერჯერობით არ უსარგებლიათ. ექსპერტის თქმით, როდესაც ისინი სტუდენტებს ესაუბრნენ, გამოიკვეთა რომ ისინი ნაკლებად მოტივირებულები იყვნენ, ამიტომ მათ რჩვაში დაწერეს, რომ დაწესებულებამ შექმნას ფოკუს ჯგუფები და სტუდენტებს აუმაღლონ მოტივაცა ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტთა თანაფარდობით დარგის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დღეის მონაცემებით დარგის მიმართულებით ჰყავთ 5 აკადემიური პერონალი და ორი მოწვეული პერსონალი დოქტორის ხარიხის მქონე. აქვე დაამატა, რომ რეკომენდაცია იყო დოქოტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობაზე. 11 განმახორცილებელი პერსონალიდან დარგის მიემართულებით 7 არის დოქტორის ხარისხის მქონე. აქტიური სტატუსის მქონე ტუდენტთა რაოდენობა კი 46-ია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:44 სთ
დასრულების დრო: 15:53 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დაწესებულებას განესასღვრა შემდეგი რჩევები:

- სასურველია განხორციელდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო სტომატოლოგიურ შეჯიბრებებში;
- სასურველია განხორციელდეს საერთაშორისო სტომატოლოგიურ ასოციაციებთან თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- სასურველია კლინიკურ დარგობრივ სილაბუსებში, დაკონკრეტდეს პაციენტზე და ფანტომზე შესასრულებელი მანიპულაციები.
- სასურველია გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების მქონე დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა;
- სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
- სასურველია განახლდეს სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორატორია, აღიჭურვოს თანამედროვე სტომატოლოგიური სიმულაციური დანადგარებითა და მასალებით.
- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას გაცვლითი პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯი
- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიზანში, შემდეგი ჩანაწერი „-ასევე შეისწავლის კბილის პროტეზებისა და ორთოდონტიული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებასა და შეკეთებას" დაკორექტირდეს თანამედროვე სტომატოლოგიური ტერმინოლოგიით, ისე როგორც იკითხება ცალკეულ სილაბუსებში.
- სასურველია სტუდენტთა სამუშაო სივრცის უზრუნველსაყოფად სტომატოლოგიურ საუნივერსიტეტო კლინიკაში მოხდეს სივრცის დამატება.
- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობის მნიშვნელობაზე და მეტი მოტივაციისათვის ჩაუტარდეთ საკონსულტაციო შეხვედრები აღნიშნული მიმართულებით.
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ, სასურველია განხორციელდეს ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუირება სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.
- სასურველია გარე შეფასებას მიეცეს რეგულარული ხასიათი რაც უზრუნველყობს პროგრამის გაუმჯობესებას.

მეოთხე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№172, 8/01/2019
5		

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის ქუჩა N3, თბილისი, 0159, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა რატი რატიანმა. საფუძველი -შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

რატი რატიანის ნაცვლად აკრედიტაციისდებულების 27[2]-ემუხლისმე-4 პუნქტისსაფუძველზე, ს ხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა თამარ სირაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომა დატოვა გურანდა ჭელიძემ

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლეს 2022 წლის 30 სექტემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები. ვიზიტი განხორციელდა ადგილზე. მონიტორინგის წარმოების დროს პროგრამას ახალი რეკომენდაციები არ მიუღია, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მათ გასცეს მხოლოდ ორი რჩევა:

- დამატებით იქნას გაანალიზებული რიგ სასწავლო კურსებში სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების მეთოდები და მოხდეს მათი დაზუსტება, კერძოდ: სასწავლო კურსი „ავადმყოფის მოვლა“ სტუდენტის შეფასების წესში არ ჩანს OSCE და OSPE სწორი გაგება, მითუფრო, როდესაც OSPE, როგორც შეფასების მეთოდი, კურიკულუმში არ არის ასახული;
- გაგრძელდეს პერსონალის, დამკვირვებლების, სიმულაციური პაციენტების გადამზადება უწყვეტ რეჟიმში კლინიკური გამოცდების სწორად დანერგვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წამომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. აქვე დაამატა, რომ დაწესებულება რჩევებს გაითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:59 სთ
დასრულების დრო: 16:01 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლოგანხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

- დამატებით იქნას გაანალიზებული რიგ სასწავლო კურსებში სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების მეთოდები და მოხდეს მათი დაზუსტება, კერძოდ: სასწავლო კურსი „ავადმყოფის მოვლა“ სტუდენტის შეფასების წესში არ ჩანს OSCE და OSPE სწორი გაგება, მითუფრო, როდესაც OSPE, როგორც შეფასების მეთოდი, კურიკულუმში არ არის ასახული.
- გაგრძელდეს პერსონალის, დამკვირვებლების, სიმულაციური პაციენტების გადამზადება უწყვეტ რეჟიმში კლინიკური გამოცდების სწორად დანერგვის მიზნით.

საბჭოს სხდომა დასრულდა : 16:05 საათზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
სირაძე თამარ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი